

ლუდმილა სკირდა

საქართველოს
ხმები

Людмила Скирда ГОЛОСИ САКАРТВЕЛО ლუდმილა სკირდა საქართველოს ხმები

Людмила Скирда

*Голоси
Сакартвело*



Людмила Скірда

Голоси Сакартвело

Поезії

*Переклав з української
Рауль Чілачава*

*Освіта України
Київ 2019*

ლუდმილა სკირდა

საქართველოს ხმები

ლექსები

უკრაინულიდან თარგმნა
რაულ ჩილაჩავამ

ოსვიტა უკრაინი
კიევი 2019

УДК 821.161.2 + 353.1

C42

C 42 *Голоси Сакартвело : поезія / Скирда Людмила ; укр. та грузин. мовами ; перекл. грузинською Рауль Чілачава. — К. : ВД «Освіта України», 2019. — 112 с.*

Нова книга відомої української поетеси Людмили Скирди «Голоси Сакартвело» присвячена невимовно прекрасній країні, з якою поетесу пов'язують не лише творчі, а й просто людські контакти. Це глибоко емоційне осмислення історії, природи, мистецтва Грузії, це своєрідний літопис долі талановитої особистості, яка відкрила для себе скарбницю чужої культури і з вдячністю ввібрала в себе ауру іншої країни чи не на рівні міту. Образи сучасників, образ часу, образ нації – це не просто неогуманізм наших тривожних днів, а й своєрідний експресивний документ, біографія покоління.

ცნობილი უკრაინელი პოეტი ქალის ლუდმილა სკირდას წიგნი „საქართველოს ხმები“ ეძღვნება წარმოუდგენლად მშვენიერ ქვეყანას, რომელთანაც ავტორს აკავშირებს არა მარტო შემოქმედებითი, არამედ უბრალო ადამიანური ურთიერთობანიც. ესაა საქართველოს ისტორიის, ბუნების, ხელოვნების ღრმად ემოციური გააზრება, თავისებური მატთანე ნიჭიერი პიროვნებისა, რომელმაც საკუთარი თავისთვის აღმოაჩინა უცხო კულტურის საგანძური და თითქმის მითის დონეზე მაღლიერებით გაითავისა სხვა ქვეყნის აურა. თანამედროვეთა სახეები, დროის სახე, ერის სახე — ესაა არა მხოლოდ მდეღვარე დღეთა ნეოჰუმანიზმი, არამედ თავისებური ექსპრესიული დოკუმენტიც, თაობის ბიოგრაფიაც.

ISBN 978-617-7777-97-6

© Людмила Скирда, 2019

Блискучий зразок поетичної дипломатії

Це доля. Щаслива доля. У перші дні мого перебування в якості Посла Грузії столиця України зустріла неймовірно теплим жовтнем та яскравим, багатотисячним народним святом в старому центрі Києва, на Подолі, де українці вже восьмий рік поспіль, з великою любов'ю, святкують грузинське свято "Тбілісоба". Там же, в Домі Булгакова на Андріївському узвозі, у рамках фестивалю провели літературні читання, де був презентований україномовний переклад першого роману грузинського поета Георгія Нахуцрішвілі "Зимове море".

І ось, усього за кілька тижнів після цього, мені випадає нагода презентувати ще один надзвичайно чарівний проєкт. Переклад грузинською мовою книги всесвітньо відомої української поетеси Людмили Скирди "Голоси Сакартвело", який був зроблений нашим відомим співвітчизником, котрий майже 50 років проживає в Україні, поетом, перекладачем, літературознавцем Раулем Чілачава.

Мені, як дипломату, особливо приємно представити цю книгу. По-перше, чудова поезія присвячена моїй Батьківщині і написана талановитою, прекрасною жінкою, члени родини якої є моїми колегами. Чоловік поетеси, Юрій Костенко — Надзвичайний і Повноважний Посол, знаний та доста досвідчений український дипломат, а її донька — Ольга Костенко, в останні роки гідно представляє Україну у Раді Європи у м. Страсбург. По-друге, сам перекладач "Голосів Сакартвело" — поважний та незрівнянний Рауль Чілачава, Надзвичайний і Повноважний Посол України у Республіці Латвія 2005–2010 р.р. Тож, природньо вважати даний україно-грузинський проєкт чудовим взірцем культурної, можна навіть сказати, поетичної дипломатії.

Нехай мелодія грузинської теми продовжує лунати в українській поезії. І навпаки. Адже, це — щаслива доля.

Надзвичайний і Повноважний Посол Грузії в Україні
Теймураз Шарашенідзе

პოეტური დიპლომატიის ბრწყინვალე ნიმუში

ეს ბედისწერაა. იღბლიანი ბედისწერა. საქართველოს ელჩის რანგში ჩამოსვლისთანავე, უკრაინის დედაქალაქი შემეგება საოცრად თბილი ოქტომბრით და მრავალფეროვანი ხალხური ზეიმით კიევის ცენტრში, პოდოლზე, სადაც უკრაინელები უკვე მერვე წელიწადია დიდი სიყვარულით ზეიმობენ ქართულ დღესასწაულს - „თბილისობას“. აქვე, ანდრეევსკის დაღმართზე, ბულგაკოვის სახლ-მუზეუმში, ფესტივალის ფარგლებში გაიმართა ქართული ლიტერატურული შეხვედრები, სადაც წარმოდგენილ იქნა ქართველი პოეტის, გიორგი ნახუცრიშვილის პირველი რომანის „ზამთრის ზღვა“ უკრაინულ ენოვანი თარგმანი.

ამჯერად, სულ რამდენიმე კვირის შემდგომ, მე წილად მხვდა კიდევ ერთი არაჩვეულებრივი პროექტის წარმოდგენა. ეს გახლავთ საქვეყნოდ განთქმული უკრაინელი პოეტის, ლუდმილა სკირდას წიგნის „საქართველოს ხმები“ თარგმანი ქართულ ენაზე. თარგმანი შეასრულა ჩვენმა ცნობილმა თანამემამულემ, რომელიც თითქმის 50 წელიწადია ცხოვრობს უკრაინაში, პოეტმა, მთარგმნელმა, ლიტერატურათმცოდნემ, რაულ ჩილაჩავამ.

ჩემთვის, როგორც დიპლომატისთვის, დიდი პატივია სწორედ ამ წიგნის წარმოდგენა. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ არაჩვეულებრივი პოეზია მიემდვნა ჩემს სამშობლოს და დაწერილია ნიჭიერი, მშვენიერი უკრაინელი ქალბატონის მიერ, რომლის ოჯახის წევრები ჩემი კოლეგები არიან. პოეტის მეუღლე, იური კოსტენკო საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩია, ცნობილი და ძალზედ გამოცდილი უკრაინელი დიპლომატი, ხოლო მისი ქალიშვილი, ოლგა კოსტენკო, ბოლო წლების მანძილზე დირსეულად წარმოადგენს უკრაინას ევროპის საბჭოში, ქ. სტრასბურგში. მეორეს მხრივ, თვით „საქართველოს ხმების“ მთარგმნელი, პატივცემული და განუმეორებელი რაულ ჩილაჩავაც გახლდათ უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ლატვიის რესპუბლიკაში 2005-2010 წ.წ. თავისთავად ვთვლი, რომ მოცემული უკრაინულ-ქართული პროექტი წარმოადგენს კულტურული, შეიძლება ითქვას, პოეტური დიპლომატიის ბრწყინვალე ნიმუშს.

დაე ქართული ჟღერადობა არასოდეს მოკლებოდეს უკრაინულ პოეზიას. და პირიქით. ეს ხომ იღბლიანი ბედისწერაა.

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი
უკრაინაში
თეიმურაზ შარაშენიძე,



Розмова по дорозі до Цихісдзифі

Георгію Шенгелая

Я знаю – так було й так буде:
Самотність зникне, згине щем,
Лиш труд світитиме крізь будні,
Лиш труд при сонці й під дощем.

Смієшся: «Мудра ти і рання».
І я сміюсь: «Ранкова я».
Твій фільм про Ніко Піросмані,
І дисертація моя,

І вірші, і пісні, і танці.
Й мелодія сріблистих рут,
І глечик цей – то просто бранці,
А їх господар – сивий труд.

«Яка розважливість дочасна.
Є дух, талант, душа твоя».
І я кажу: «Талант не згасне
У колобродинах життя».

Кажу я: «Дух не спеліє,
У безвість, ні, не відлетить,
Проте лиш труд вінчає мрію.
Труд над усе – блаженна мить!»




საუბარი ციხისძირის გზაზე

გიორგი შენგელაიას

ვიცი – იყო და იქნება ასე:
ერთხელ დატოვებს კაცს სიმარტოვე.
მას შრომა იხსნის ცხოვრების გზაზე,
შრომა დაჯაბნის წვიმებს, ქართოვებს.
იცინი: „შენ ხარ ასაკზე ბრძენი“.
და მეც ვიცინი: „მე ვარ პაწია!“
შენ ფიროსმანზე სურათი გშვენის,
ხოლო მე – ჩემი დისერტაცია.
არის ლექსები, სიმღერა, ცეკვა
და ვერცხლისფერი კრთომა ტეგანის.
რა იქნებოდა, მათ შრომა ერქვას,
შრომა და შრომა – უკიდევანო.
„რა ნაადრევი ბრწყინვაა გონის.
არსებობს ნიჭი და შენი სული.“
მე ვამბობ: „ნიჭმა არ იცის ფონი,
ის მუდამ დასძლევს ჟინსა და სურვილს“.
მე ვამბობ: „სულს ვერ დაფერფლავს ჟამი,
ხრამშიაც ველარ ჩაჩეხავს, ვერა.
მხოლოს შრომაა ნეტარი წამი,
ის გვირგვინია ოცნების, მჯერა.“

Сніг над Мтацміндою

Галактіону Табідзе



Сніг над Мтацміндою, сніг,
Сивий господар мовчання,
Кажуть, такий – уперше,
Сніг над Мтацміндою, сніг,
Ми повертаємось в місто,
Маленькі, йдемо від великих,
І кожен з нас, відчуваю,
Дослухає в собі поета,
Звіряється на вершини.
Ніби бажаючи ще раз
Переконатись у цьому,
Я озирнулась довкола
Й побачила горді профілі
Чотирьох грузинських поетів,
Які, мов чотири іриси,
Ніжно свіtilись крізь сніг.
І раптом в мені спалахнули
Слова, що забуть не в силі.
Колись вулканічний Лорка,
Як вітром сухим андалузським,
Ними душу мені обпік:
«Вони або шлють гордий виклик зорям,
Або цілують рудий пил своїх доріг».
Сніг над Мтацміндою, сніг.



თოვლი მთაწმინდაზე

გალაკტიონ ტაბიძეს

თოვს მთაწმინდაზე, თოვს.
სიჩუმეს მასპინძლობს თოვა.
პირველად ხდებოა აქ ასე...
თოვს მთაწმინდაზე, თოვს.
ჩვენ ახლა ქალაქში ვბრუნდებით,
დიდებს პატარები ვტოვებთ
და ყველა ჩვენგანი პოეტს
გრძნობს და ყურს უგდებს თავის თავში.
თითქოს ვეტოლებით მწვერვალებს
და გვინდა დავრწმუნდეთ ისევ,
რომ ჩვენ აქ ვიყავით ნამდვილად.
მე მიმოვიხედე ირგვლივ
და ოთხი ქართველი პოეტის
ამაყი პროფილები ვნახე.
ისინი ოთხი ზამბახივით
ნაზად ანათებდნენ თოვლში.
და მაშინ იფეთქეს სიტყვებმა,
რომლებიც მგზნებარე ლორკამ
ანდალუზიის ხორშაკივით
ოდესღაც შემომინთო სულზე:
„ისინი მხოლოდ შორ ვარსკვლავებს ეტოქებიან
ანდა კოცნიან ჟანგისფერ მტვერს საკუთარ გზების“.
თოვს მთაწმინდაზე, თოვს.

Вечеря у ресторані «Da Dong»

Ніно Ананіашвілі

Грузинська балерина, славетна і прекрасна,
Відвідала Китай, напрочуд своєчасно.
Погода – хоч куди, китайці на vacation,
В столиці full relax,
Нежданий мов sensation.
І ми пішли в «Da Dong», боготворимий мною.
Ми їли Beijing's Duck з легендою живою,
Ми випили вина грузинського три літри,
Наш ключ: «До дна, до дна...» кудись летів за вітром.
І спогади, і мить ота дорогоцінна,
Коли й душа летить в Тбілісі із Пекіну.
Де найсмачніший хліб, найзапашиніша кава,
Й життя сердечний триб, й розмова нелукава.
Це так було давно й далеко від Пекіну...
Я, наче у кіно, бачу себе – дитину
І розумію – ні, минуле не минуло,
Лишилися ті дні, той сонячний притулок
На морі, у саду, у теплім Кобулеті,
Подібного нема ніде на всій планеті!
Тому летить душа, тому душа співає
І тужить за земним і неповторним раєм.

ვახშამი რესტორანში «Da Dong»

ნინო ანანიაშვილს

სახელგანთქმული, ელვარე ქართველი ბალერინა ჩინეთში ჩამოფრინდა და ქვეყანა გააბრწყინა. დგას საოცარი ამინდი, ჩინელთ აქვთ vacation, დედაქალაქში full relax ჟღერს, როგორც sensation. და ჩვენ წავედით «Da Dong»-ში, მე რომ ვიწამე ღმერთად, დავაგემოვნეთ Beijing's Duck ჩვენ ლეგენდასთან ერთად. დავლიეთ ღვინო ქართული, მართლაც სამოთხის დარი, ჩვენს ძახილს: „შესვი ბოლომდე!..“ შორს მიაფრენდა ქარი. და მოგონება ნათელი, ამ წუთებივით წმინდა, პეკინის სანახებიდან თბილისში გადაფრინდა. სადაც აქვთ პური ზღაპრული და საოცარი ყავა და საბაასოდ განგაწყობთ უნატიფესი ჰავა. ეს პეკინიდან შორს იყო, ეს როდის იყო, ნეტავ! მე ახლა თითქოს ბავშვი ვარ და ნაცნობ კინოს ვხედავ, და ვგრძნობ და ვხვდები წარსული რომ არ წასულა არსად, იმ დღეთა შორი არილი ქცეულა სულის გარსად, ის ზღვა, ის ბაღი, ის თბილი ნანატრი ქობულეთი, მთელ პლანეტაზე უბადლო და მართლაც ერთადერთი! გაფრინდა სული გაფრინდა, ძველ მოგონებებს გაჰყვა, მონატრებია ხელახლა სიყრმის ედემის ნახვა.

Vacation (ინგლ.) – შვებულება
full relax (ინგლ.) – სრული დასვენება
sensation (ინგლ.) – შეგრძნება
Beijing's Duck (ინგლ.) – პეკინური იხვი


მთარგმნელის შენიშვნა: ლუდმილა სკირდას მეუღლე, ცნობილი დიპლომატი იური კოსტენკო იყო უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩინეთში. ცოლ-ქმარი პეკინში რამდენიმე წელიწადი ცხოვრობდა.

Спогад про Жінвалі

*Теплим світлом світилось Жінвалі,
Наші очі над світом світились.
І Жінвалі в обіймах мигдалю
Ніби тануло, ніби губилось.*

*В цьому світі так прагнеться – крила б
І майнуть від Жінвалі до Чакві...
«Ти— щаслива!» – зело лопотіло...
«Ти— щаслива!» – співала Арагві...*

*Ми були наче берег ріки,
Нерозлучний назавжди з рікою.
Я і ти... Я і ти... Я і ти...
Ти зі мною.. зі мною...зі мною.*





ჟინვალის გახსენება

თბილი ნათება თავს ადგა ჟინვალს,
სიამით კრთოდნენ ჩვენი თვალები.
მე ახლაც მახსოვს ჟინვალის ბრწყინვა,
ცა – ღამისთევით ნაფერმკრთალები.
მე მახსენდება ჟამი ფრთალაღი,
ყველაზე მეტად ფრთებს ვნატრობ ახლა.
„ბედნიერი ხარ!“ – თრთოდა ბალახი
და ბანს აძლევდა არაგვის ტალღა.
ვხედავ შორს, მაღლა ორბები სხედან,
მოჩანს ღიობი სამყაროს ბჭეთა,
და კვლავ მე და შენ, მე და შენ, მე და...
და ჩვენ ერთად ვართ, ერთად ვართ, ერთად!

Так починалась любов

Легка й полохлива, неначе газель,
Долина в міжгір'ї ховалась.
Весна?

Безперечно. Та перш за усе
Так наша любов починалась.

У ніжному сяйві спливає лице
І світло біліє, мов галузь.
Цвітіння?

Звичайно. Та перш за усе
Так наша любов починалась.

І тихе вагання: що день принесе
Наступний? У горах смеркалось.
Непевність?

Вгадали. Та перш за усе
Так наша любов починалась.

Десь олень кохану у лісі шукав,
Й, мов золото найвищої проби,
Той клич «Мквіралоба» у небі палав,
Над нами гуло: «Мквіралоба!»

Десь пахнув інжир, облітала хурма,
Природа снагою вітала.
Ми знали: за літом приходить зима.
Проте ми нічого не знали.

Над нами небес племінка темнота,
Під нами безодня сміялась.
Хай вічність на крилах зорі проліта!
Так наша любов починалась.

Літа промайнули. Та чую здаля
Ту пісню, що в серці озвалась.
І знову весна, і зітхнула земля...
Так наша любов починалась.



სიყვარული იწყებოდა ასე

ქურციკივით მსუბუქი და მფრთხალი,
ვაკე, მათათა შორის მოხასხასე.
გაზაფხული? დიახ!
წყაროსთვალი.
სიყვარული იწყებოდა ასე.

შუქთა ციაგს არ უჩანდა ბოლო,
ნათლის ტოტი ირწეოდა ცაზე.
ყვავილობა? რა თქმა უნდა, მხოლოდ
სიყვარული იწყებოდა ასე.

ვმერყეობდით: რას მოგვიტანს ხვალე,
გათენებულ დღეთა სიკისკასე.
მთებში უკვე დღე ხუჭავდა თვალეებს.
სიყვარული იწყებოდა ასე.

ტყეში ირემს დაკარგვოდა ცალი,
და ბაჯალლო ოქროსდარი გრძნობა -
მყვირალობა ენთო, როგორც ალი,
და გვესმოდა ექოდ: „მყვირალობა“.


ლედვისა და ხურმის ჟამიც მოვა,
როს ბუნება ფერებს იწნავს თმაში.
ჩვენ ვიცოდით: ზაფხულს მოსდევს თოვა,
თუმც ბევრი რამ არ ვიცოდით მაშინ.

ცას ეგონა, უკეთესი დღეს ვარ,
ვხარხარებდით უფსკრულების თავზე.
უკვდავება ვარსკვლავს ფრთებზე ესვა!
სიყვარული იწყებოდა ასე.

წლები გაქრნენ. მაგრამ მესმის შორით
ის სიმღერა, გულს რომ ლხენით ავსებს.
გაზაფხულდა. მიწას ნამავს თქორი.
სიყვარული იწყებოდა ასე.

Сон літньої ночі

Ціалі Сурманідзе



Як ностальгічно прагнеться туди,
Межи чинар, у сад Махінджаурі,
Де при столі Ціала і Тімурі,
Де у повітрі пах «алаверди».
Подумалось тим вечором зимовим,
Коли не зігріва ні плед, ні слово,
Немов душа хапає дрижаки.
І все не те. І так забракне сонця,
І цілий день малюєш море доньці,
І вже не чуєш стерплої руки.
Як гірко відчувать зими полон.
Ця білість анемічна й натиск бурі —
Лиш сіре тло. На нім Махінджаурі
Цвіте в обіймах виноградних грон.
У тім повільнім ритмі колісковім
Так легко римувать слова любові
І легко бутъ собою. Та колись
Наснитъся сон, наснитъся грудень сніжний,
Й снага зими, пронизлива і свіжа,
Покличе в путь, мов пташеня у висъ.
І скажеш ти: «Як прагнеться туди,
В слов'янське місто, що сія на кручах».
О зустріч, пожадана й неминуча,
О рідний вітре, душу остуди.




ზაფხულის ღამის სიზმარი

ციალა სურმანიძეს

მე მენატრება უფრო და უფრო
მახინჯაურის ბაღთა ხავერდი,
ციალასა და თემურის სუფრა,
და ატყორნილი ცად „ალავერდი“.
ამ ზამთრის ღამეს არ მწყალობს ბედი,
არც სიტყვა მათბობს და აღარც პლედი,
სულს ენატრება ამინდი ცხელი.
და მეც მზესავით თითქოს გავთავდი,
ჩემს შვილს მთელი დღე მზეს ვუხატავდი,
არ დამიბუჟდა სანამდე ხელი.
ო, რა ძნელია ზამთრის ტყვეობა,
და ქარბუქების თეთრად ზეობა.
ხოლო მათ ფონზე მახინჯაური,
ჰყვავის მტევნებს და ვაზს ჩახვეული,
თვლემს იავნანის ჰანგში სხეული
და ტრფობის რითმას ეძებს ზღვაური.
დაგესიზმრება ერთხელაც ღამით
მკერდდათოვლილი თვე დეკემბერი
და როგორც თოშს და ზამთარს შეჰფერის,
მოგიხმობს გზაზე გამოსვლის წამი.
იტყვი: მწყურია ბორცვებზე მდგარი
ჩემი სლავური ქალაქის ნახვა.
შენც შესახვედრად თამამად წახვალ,
სულს მშობლიური დაგიცხრობს ქარი.

Дорога до Кахетії

*Схил гори схожий на ковдру,
Пошиту з прямокутних клаптиків
Усіх можливих відтінків зеленого,
Або на топографічну карту,
Між регіонами якої проведено
Пунктири кольору рудої глини,
Або на старовинний рукопис
З гнучкою бароковістю округлих слів,
Або на гігантський орган,
Що звучить переможно
Мільйонами сонячних труб.
Це – виноградник!*






კახეთის გზაზე

მთის კალთა თითქოს ხალიჩაა,
სწორკუთხა ნაჭრებით მოქსოვილი,
მწვანე ფერის მირიადი ვარიაციით,
ან ტოპოგრაფიული რუკა,
სადაც საზღვრები გავლებულია
ეწერი მიწის წყვეტილი ხაზებით,
ან ძველთაძველი ხელნაწერი,
ბაროკოსჟამინდელი მრგვლოვანით
ჩაგვირისტებული,
ან უზარმაზარი ორღანო,
რომლის მილიონი მზის საყვირიც
ძღვევამოსილად ჟღერს.
ეს – ვენახია!

Пророцтво збувається

Це гроно Ізабелли у вікні
Прожиті дні нагадує мені.
Махінджаурі. Вілла Сурманідзе...
Як хочеться крізь вічність придивитися,
Побачити стіл, наїдки, дзбан вина...
То молодість була. А де вона?
Куди зникає юності багаття —
Всю ніч не спать і не втрачать завзяття?
А потім в ніч вологу, у пільму
Рушать на автах до кордону Чакві.
Співати «Суліко», а про Арагві
Читати вірші і дарувать йому,
Моєму другу за шалений кайф.
А він сміявся і казав: «Стривай!
Попереду усе твоє найкраще!»
І знала я: мене чекає щастя...





წინასწარმეტყველება სრულდება

ფანჯარასთან იზაბელას მტევანს,
ღია ცისქვეშ ტკბილ ღამეთა თევას,
მახინჯაურს, სურმანიძის ვილას,
სიხარულით განათებულ დილას,
მსურს გავხედო მარადისობიდან...
კვლავ ის სუფრა, კვლავ ის ღვინო მინდა...
სიყმაწვილევ, სად, სად გაჰქერი, ნეტავ,
სად ხარ ცეცხლო იმ უამეს დღეთა?
ის ხალისი ნუთუ მართლა ჩაკვდა,
მე რომ ერთხელ დამეუფლა ჩაქვთან.
ჩვენ ვმღეროდით „სულიკოს“ და არაგვს
ვიხსენებდით... შთაგონების მარაგს
მე ვუძღვნიდი ჩემს მეგობარს, ვინაც
გალიმებით ლხინი გააბრწყინა:
„ყველაფერი ჯერ წინა გაქვს, წინა!..“
ტრიალებდა წუთისოფლის ჯარა.

Роздум на вершині гори

*Махінджаурі і Батумі —
Це майже поряд, але я
Не брала участі у бумі,
Тусня батумська не моя,*

*Аджарські передгір'я тішать
Мое єство, кохаюсь в них.
Монастирі рятують грішних,
А море провокує гріх.*






ფიქრი მთის მწვერვალზე

თუმც ბათუმიდან მახინჯაური
ორ ნაბიჯზეა, მაგრამ ეგ არი,
მე არ მიტაცებს ბევრი ხმაური,
ბათუმის რიტმი დაუდგარი.

აჭარის მთები ჩემში მღერიან
და მე მათ თითქოს დამეებს ვუთევ.
ცოდვისგან მხსნელი მონასტერია,
ზღვა კი პირიქით – ცოდვების ზღუდე.

Спогад про Батумі

Вздовж моря парк, немов поема...
Ритм кипарисів брав за душу,
Самшити аромат і сцена,
І персики в плодах, і груші,
І запах свіжих чебуреків,
І зимний лимонад Крем-сода
І правнуки самих абреків,
І тьма курортного народу,
І білий пароплав, як мрево,
Далеко десь, мов у минулім,
І олеандрові дерева,
І ледь п'янке Кіндзмараулі.
Хотілося назавжди вивчить,
Як віри прекрасний, цей маршрут,
Цей шепіт криптомерій вічних,
Й мелодію правічних рут.





ბათუმის გახსენება

ზღვას გასდევს პარკი პოემის მსგავსად,
კვიპაროსები გვმატებენ ხალისს.
ბზები და სცენა ხილვებით სავსე,
ტოტებზე მწიფე ატამი, მსხალი,
ცივი „კრემ-სოდა“, ხშირი ჩრდილები,
ჩებურეკები, თვალწინ რომ ცხვება,
თვითონ აბრაგთა შვილიშვილები,
დამსვენებელთა წყება და წყება,
შორს, ძალიან შორს, როგორც წარსული,
ქათქათა გემი ლურჯ ტალღებს ზემოთ,
ოლენდრები, მაღლა წასული,
„ქინძმარაულის“ ნაცნობი გემო, -
მსურდა მესწავლა მე, როგორც ლექსი,
ვით ამ მარშრუტთა საამო ბანგი...
კრიპტომერიის ჩურჩული მესმის
და უჭურველის მარადი ჰანგი.

Всі свої

Хачапурі з лимонадом
У підвальчику без назви
Їли ми щоранку радо.
Це було «причастя пастви».
Бо ніхто чужий довіку б
Не знайшов сюди дороги.
Всі свої – малі й великі —
У криївочці за рогом.
Піросмані й Параджанов
Прикрашали стіни зали
І було феноменально,
Що роботи ці не вкрали.
І здавалось неймовірним,
Ніби шепіт темно синій,
Що тобі назустріч лунуть
Ніжні китиці гліциній
Турмаліни олеандрів
У вазонах-кам'яницях,
Ніби форзац фоліантів,
Мов тягнулись до десниці.
Ну а потім, з боку Поті
Чи самих садів Давида
Доминали тиха пісня,
Тиха пісня понад світом.



ყველა ჩვენია

ხაჭაპურს და ლიმონათს
მივირთვევდით ადრიან
უსახელო სარდაფში,
სადაც ყოფნა მაღლია.
უცხო ვინმე გზას აქეთ
ვერასდროს იპოვიდა.
ყველა ჩვენია,
ვინც კი აქ შემოვიდა.
ფიროსმანს, ფარაჯანოვს
აქ კედლებზე ნახავდით.
მიკვირს, არ მოუპარავთ
მათი ერთი ნახატიც.
მართლაც სასწაულია
და მე დღემდე ვკვირდები,
ჩემკენ როგორ მოჰქროდნენ
გლიცინიის კვირტები.
ვაზონის ოლეანდრა,
როგორც მუდამ სჩვეოდა,
ფოლიანტის ფორზაცად
მარჯვენას ეხვეოდა.
მერე ფოთის მხრიდან თუ
თვით დავითის ბაღიდან
მოგვესმოდა სიმღერა
სავსე სიომახითა.

Я повернусь...

Я повернусь на древній берег
У край розкішних вішунвань...
І мушлю витягну, мов жереб,
Зі хвиль іґристих, мов шампань.
І зрозумію – є щасливі іще місця на цій землі,
Де друзі справді незрадливі,
Тож ти немов серед рідні.
Неначе в космос вийду в море
На катері, що зветься «Лю».
І пригадаю, що учора
Ти знов сказав мені: «Люблю...»
І звідти, з космосу побачу
Пустельний безкінечний пляж...
І зрозумію, що удача
Не обминула нас. А час
До нас був милосердним. Боже,
Я дякую тобі за все.
За вітер, що пройма до дрожу,
За лазурове небо це,
За фіолет оцих гліциній
І за вогонь оцих теком,
Що, наче військо сарацинів,
Штурмують вперто мій балкон.
І за пекучі хачапурі,
За дзбан вина й духмяність трав,
За слово це – Махінджаурі,
Яке звучить тотожно love.
За те, зо ми зі святом в згоді,
Який єднає нас, мов струм,
Цей берег, що виходить з Поті
І дістає старий Батум.



დავუბრუნდები კვლავ ბებერ ნაპირს...

დავუბრუნდები კვლავ ბებერ ნაპირს,
სადღევრძელოთა თქემით განზანილს...
ნიჟარას მიძღვნის ტალღების ქაფი,
შუშხუნა რა, როგორც შამპანი.
და მე მივხვდები, რომ ბედნიერი
ადგილი ბევრგან არსებობს ჯერაც.
სადაც მეგობრის სათნო იერი
ულალატოა და მისი გჯერა.
მე ზღვაში, როგორც კოსმოსის გულში,
გავალ კატარლით, „მი“ რომ რქმევია.
შენ მიყვარხარო კვლავ მითხარ გუშინ,
სიტყვა, რომელიც სულს ამჩნევია.
იმ კოსმოსიდან გადამეშლება
უდაბური და უსაზღვრო პლაჟი...
და მე მივხვდები, რომ არ ვეშლებით
ჩვენს ბედს და იღბალს არასდროს სხვაში.
ჟამი ჩვენს მიმართ იყო მოწყალე,
ღმერთო, მადლობა ყველაფრის გამო.
რომ ამ ქარებში მე ვარ ცოცხალი,
რომ ცათა მიღმა გახედვას ვლამობ,
რომ გლიცინიამ არ იცის დაღლა,
ვაზისტანებიც გადასცდნენ ზღუდეს
და ჩემს აივანს ორივე ახლა
სარაცინების ჯარივით უტევს.
რომ ხაჭაპური გვნუსხავს აურით,
ღვინო, ხორაგი, დამრულა ლავად,
რომ მწველი სიტყვა: „მახინჯაური“
ისევ ჩამესმის შორეულ love- ად.
რომ სანუკვარი დღესასწაული
მუდმივ დენივით სხეულს ედება,
და ეს ნაპირი, ფოთს რომ ჩაუვლის,
ბებერ ბათუმში ჩაეხეტება.


Спогад про Кобулетті

I

Був ти чи ні? За білими стінами море,
Дельфіни пливуть, і сохнуть човни на піску.
На останньому поверсі, стискаючи трубку в долоні,
Людина шепоче: «Єдина, я вас люблю»

Був ти чи ні? Птахи полишають гнізда,
Гори червоні за мить до заходу сонця.
Я руками торкаю куцик самшиту.
Цикади лякаються і уривають свій спів.

Був ти чи ні? Відповіді не чекаю.
Хай море шумить на просторах гучних, неозорих,
Хай сохнуть човни і рибалки закидають сіті,
Хай гори звучать і цикади співають ночами,
Хай світ цей пребуде ввіки,
І людство, і мир.





ქობულეთის გახსენება

1

იყავ თუ არა? ზღვაა თეთრი კედლების მიღმა.
ვხედავ დელფინებს, შორ ქვიშაში შრება ნავები.
ბოლო სართულზე მამაკაცი აწვალებს ჩიბუხს
და თან ჩურჩულებს: „ერთადერთო, მე თქვენ მიყვარხართ!“

იყავ თუ არა? მიატოვეს ჩიტებმა ბუდე,
მთები გაწითლდნენ, მზის ჩასვლამდე რჩება წამები,
მე ვეფერები ბზის პატარა ქოჩორა ბუჩქებს,
ჭრიჭინებს შიში ეუფლებათ და ჭრიჭინს წყვეტენ.

დე, სივრცეები ზღვამ ხმაურით აიკლოს ისევ,
გაშრეს ნავები, მეზადურმა ისროლოს ბადე,
იმღერონ მთებმა, იჭრიჭინოს ჭრიჭინამ ღამით,
დარჩეს სამყარო, კაცთა მოდგმა ასეთად მუდამ!

II


Це спогад про лагідний дім,
Про чай на терасі, про агрус,
Про шепіт троянди. У нім
Вчувала я істини лакмус.

Про пісню чи ні рітурнель
Дрозда на горісі кремезнім.
Про Гент, а чи може Брюссель,
Де куплено вазу чудесну.

Про хости... Їх море... Між них
Ховаються жовті лілеї...
А ще центифолія... Гріх
Не бачить красуні цієї.

І гетевський заклик: «Dahin»...
Мені зрозумілий до скону.
Є раціо мудре у нім —
Вітатъ хлорофілу закони.





2

მე მახსენდება ნათელი სახლი,
და ტერასაზე ჩაი, აგრუსი.
ვარდის კოკორთა ჩურჩული მალლით,
ჭემმარიტების ნაღდი ლაკმუსი.

ჩუმი სიმღერა თუ რიტორნელი
კაკლის ტოტებში შემალულ შაშვის,
ბრიუსელის და გენტის სურნელი,
ძვირფას ლარნაკში ედემის საშვი,

ყელაღერილი ჰოსტების ზღვაში
ამზევებული ყვითლად ლილია,
ფოთლებისა და ტალღების ტაში,
ცენტიფოლია და იდილია,

გოეთეს «Dahin»... ხმა შორეული,
ქვაფენილების რუხი ფილები...
მე ვდგავარ ახლა, როგორც გრძნეული
და ვაქებ კანონს ქლოროფილების.

На перевалі

Гураму Канкава

За вітром гострим, мов кинджал,
Лишаючи перестороги,
Ми летимо на перевал,
Де обриваються дороги.

І на неторканій горі
Між диких аскетичних стебел
Ми стоїмо, як звіздари,
І зорі випускаєм в небо.

І небо вже цвіте й пашисть,
І крила за тобою, крила...
Ця зоряна срібляста сіть
Мене ураз й навек вловила.

Ця потойбічна висота,
І ця смарагдова долина,
І хвиля сонця золота,
І хвиля моря білопінна.

Ця кам'яна, жорстка дорога,
Ця серпантина до вершин
Зненацька зникла десь за рогом
Між білих сніжних полонин.

Мов наполохана біглянка,
Вона тікала до небес.
Гора співала. Цей світанок
Був чистий, ніби едельвейс.



უღელტეხილზე

გურამ კანკავას

ხანჯლის წვერივით ბასრია ქარი
და ჩვენ მივჰქრივართ, მიჰქრივართ გზნებით.
ჰა, უღელტეხილს შევხსენით კარი,
რომლის იქითაც წყდებიან გზები.

თითქოს კლდეები ჩავაგდეთ არად,
დავეყვით გულის სურვილს და ნებას.
ჩვენ ვდგავართ ვარსკვლავთმრიცხველთა დარად
და ცისკენ ვგზავნით ვარსკვლავთა წყებას.

და მე შევეყურებ შორეულ ნათელს,
თან თითქოს ფრთები მესხმება, ფრთები.
ცამ ვერცხლისფერი მესროლა ბადე,
მე მისი ტყვე ვარ, მე მასში ვთბები.


მიღმიერია სიმაღლე მათათა
და ძირს ხასხასა ზურმუხტის მდელო.
მზე ოქროს სხივებს ძაფებად ართავს,
ქაფქაფა ტალღით ზღვას გააქვს ლელო.

ეს გზა ქვიანი, ოფლის დამდენი,
მიუწვდომელი, მკაცრი და შორი,
მწვერვალს გაკრული ეს სერპანტინი
გაქრა უეცრად თეთრ თხემთა შორის.

ის, ვით დამფრთხალი ლტოლვილი ქალი,
ცად მიიწევდა, მთა კი აისის
ცეცხლში მღეროდა. ეკიდა ალი,
უმანკო, როგორც ედელვაისი.

*Зречись пожади і погорди,
Забудь образи і жалі!
Це звичай мудрого народу —
Прощатись з другом на горі...*






დათმე სიხარბე და სიამაყე,
არ დაჰყო სული ქვენა გრძნობებად!
ბრძენ ერს ეს ჩვევა როგორ ამაღლებს -
მთაზე მოძმესთან დამშვიდობება...

Згадку Мухомета

*Там, де Арагві і Кура
Зустрілись, щоб не розійтись,
Є древнє місто і гора,
Де ми прощалися колись.
Маріалоба святкував
В той день народ на цій землі
І літній дощик накрапав
Чи це здавалося мені,
Що плачуть, плачуть небеса,
Удрівши нас в останній раз.
О, ця божественна краса!
О, Джарі дух, який не згас!
Іверії сумні пісні,
Светіцховелі висота!
Прощаюсь й дякую тобі
Країна світла і свята.*






ვიხსენებ მცხეთას

სადაც არაგვი მტკვარს ერთვის, რათა
არ გაიყარონ არასდროს მერე,
სადაც ქალაქი პეშეშია მათათა,
დაგშორდი ისე, ვერ მოგეფერე.
მარიამობით სუნთქავდა ხალხი,
გვინაწილებდა ჩვენც სულის სითბოს.
ზაფხულის თქორმა დააცხრო ალხი
თუ მომეჩვენა ერთბაშად თითქოს,
რომ ტირის, ტირის ცისკიდე შორი,
უკანასკნელად რადგანაც გვხედავს.
ო, ეს მშვენება, ღვთაების სწორი,
ჯვარი, გვირგვინად რომ ადგას მცხეთას!
ო, ივერია, მწუხარჰანგება,
თვალუწვდომობა სვეტიცხოველის!..
გემშვიდობებით, ვმადლობ განგებას
და კვლავ შეხვედრას თქვენთან მოველი.

* * *

Сузір'їв золоті хребти.
Ними ночами я мандрую.
І все, що турбувало всує,
Зникає, ніби назавжди.
Мінливі зоряні світи.
Мене рятують і лікують.
І лиш вологий запах туї
Та плеск прозорої води
Нічного моря нагадають,
Що на землі мене – чекають
І що мене кохаєш ти.





* * *


ჩანან ხომლების ოქროს ქედები.
აქ დამეული ვარ მოგზაური.
დავტოვე სოფლის აურზაური
და ახლა მხოლოდ წინ ვიხედები.
ცვალებადია ვარსკვლავთა ველი...
მხოლოდ ტუიას სურნელი სველი
და ღამის ზღვაში ჩქარი მხარული
და გატანილი ბოლომდე სვრელი
მამცნობენ, რომ შენ ხმელეთზე მელი,
და რომ მე შენი ვარ სიყვარული.

* * *

*Тут, у тихім саду,
Між троянд і лілей
Я збагнула одну
Найпростішу з ідей.*

*Лиш жертівність врятує
Тебе і мене.
Це єдина клейнода,
Що не промине.*





მე ამ წყნარი ბაღის
ვარდ-ყვავილთა შორის
მივხვდი, რაა მხსნელი,
მოტრფიალე ორის.


მხოლოდ ერთგულება
არის ჩვენი მხსნელი.
მას ვერ შეეხება
უხილავის ხელი.

Спогад про сад

Софіко Чіаурелі

I

Ми спустились по схилу гори, золотій, як мед,
Яблуневі сади догорали у бронзових блисках,
Світ був повен по вінця щасливих і добрих прикмет,
Пахли сонцем дерева в розкішних плодах золотистих.
Я здаля помічала шипшини багряні кущі,
Ти мене пригощав перезрілим сапфіровим терном,
І світилися стебла осіннім вогнем ефемерним
Під ялицею в срібнім і вічнозеленім плащі,
І здавалось, що нас обіймає рукою гора
Й притиска до грудей обережно, повільно і ніжно,
Ніби хоче сказати: «Ми єдине створіння безгрішне.
Я жива, доки ви потребуєте ласки й добра».





ბალის გახსენება

სოფიკო ჭიაურელს

1


ჩვენ ვეშვებოდით თაფლისფერი მთის ფერდობიდან,
დაისში კრთოდნენ ბრინჯაოსფრად ვაშლის ბაღები
მთელ დედამიწას ბედნიერი შუქი ჰყოფნიდა,
იდგნენ ხეები, თითქოს უფლის ხელშენახები.
ვხედავდი შორით მოელვარე ასკილის ბუჩქებს,
შენ მაწოდებდი დამწიფებულ კვრინჩხის საფირონს.
თავს დაჰხაროდა ნამძვის ხეებს ცა უნაპირო,
მათ შემოდგომა, მე მეგონა, ვარჯებში უჩქეფს.
მეჩვენებოდა, მთა კაცივით გვებაასება,
გვიკრავს გულში და ამბობს ვნებით უმხურვალესით:
„მე, ერთადერთი უცოდველი, წმინდა არსება,
ვიცოცხლებ, სანამ თქვენ გჭირდებათ ჩემი ალერსი.“


II

Наливали вино і спускалися сходами в сад,
Де стояли корінфських колон почорнілі уламки.
Гомоніли, сміялись і, ох, танцювали до ранку
Під чудовий оркестр золотих опівнічних цикад.
О, між нами давно панували терпіння і лад,
Я не чула ніколи ні грубого слова, ні сварки;
Хто ми – друзі, колеги, а може, ми просто канарки,
Дивовижне сімейство майстрів віртуозних рулад.
Я заглибилась в сад, в чорноту цих пахучих дерев,
Тут було джерело, як казали, для дивів і мев,
І невдовзі знайшла цей струмок

кришталєво-сріблястий.

Зачерпнула води, напоїла й омила уста.
Як все просто, о, Боже, яка таємниця проста:
Тож прекрасне – це все, що існує безгрішно і чисто.






2


დაგვისხეს ღვინო და ჩვენ ბაღში კიბით დავეშვით,
სადაც კორინთულ სვეტთა შავი ნანგრევი ვნახეთ.
ცეკვა-თამაშში გვიბრწყინავდა დილამდე სახე,
ოქროს ორკესტრით ჭრიჭინები ქუხდნენ ღამეში.
ო, სიუხეშე არ ყოფილა სითამამეში,
უფრთხილდებოდა ყველა თავის სიტყვას და სახელს.
ვინ ვართ – კოლეგა, მეგობარი თუ მაცთურ მახეს
დამსხლტარი ჩიტი კანარისა, წლობით ნაგეში!
მე ჩავულრმავდი სურნელოვან სიშავეს ხეთა,
და, აჰა, უცებ მორაკრაკე ნაკადულს ვხედავ.
დევების წყაროს მივაგენი იმ ხეთა შორის.
ვისხურე იგი, გავისველე გამშრალი ბაგე.
ო, ღმერთო ჩემო, საიდუმლოც ავხსენი აგერ:
ის დიადია, რაც სუფთაა და ცათა სწორი!

* * *

Наче рамена свічника,
Гілки тримають саяво квітів.
Над садом ніч, п'янка й легка,
І солов'ї несамовиті.

Довкола зелені тягар,
Й, неначе вимріяна учта,
Росте в душі магічний чар
Розважливо і неминучо.





* * *

თითქოს შანდალში ციაგობს ალი,
ტოტებზე ბრწყინვა შვენიტ ბუტკოებს
და ბალი, ღამის მაგიით მთვრალი,
უსმენს ბულბულთა სტვენას უტკბოესს.


ირგვლივ სიმწვანე ღელავს ზღვასავით,
თითქოს ნადიმზე ვიყოთ წვეული.
სული სავსეა თავგადასავლით
და ნეტარებით სავსე – სხეული.

* * *

*«Як все живе, й душа всихає», —
Сказала я, зітхнувши гірко.
«Твоя наївність потішає.
Душа – це ж не стебло, а зірка».*

*Ти відказав і усміхнувся.
Ця усмішка єдина в світі.
Душа – це не стебло у лузі.
Душа – це сонце у зеніті.*





„სულსაც მოელის გაქრობა სრული,“ -
ვთქვი და მოწყენას გავუღე კარი.
„მაოცებ: ღერო როდია სული,
იგი უქრობი ვარსკვლავი არი!“

მიდასტურებდა – „დიახ, ო, დიახ!“
შენი ღიმილი სათნოდ ჩენილი:
„სული ბალახის ღერო როდია,
ის მზეა – შუბის ტარს დაბჯენილი!“


* * *

На березі вмирають анемони.
Їх пелюстки приречено холонуть.
Рибалки, що у путь баркас ладнають,
Їх топчуть і ногами відкидають.

Чому ці квіти із морського лона
Прибила на пісок вода солоня?
Яка наруга сталась над красою
По волі сили неземної, злої?

Ми сидимо удвох на вогкїм молї.
Липнева спека слабшає поволї.
І далечїнь туманом оповита,
І мить якась солодка й сумовита.





* * *

სანაპიროზე სულს დაფავენ ანემონები.
ასეა, სიკვდილს ან უარყოფ ან ემონები.
მებადურები, რომ ფიქრობენ ამინდზე, მზეზე,
არემონტებენ ბარკასებს და ყვავილებს სრესენ.

ქვიშაზე რატომ გამორიყეს ისინი, ნეტავ,
მლაშე ტალღებმა ან ამ დღეში მათ რატომ ვხედავ?
ვინ შეურაცხყო, ვინ გაწირა ეს სილამაზე,
რატომ არავინ კრინტს არა სძრავს ახლა ამაზე?


ვზივართ ნესტიან მიწაყრილზე, მზე ნელა ჩადის,
ივლისის სიციხე ძალას კარგავს, ნელდება ხვატი.
შორეთსაც უკვე ეკარგება სათნო იერი,
წამია რაღაც ტკბილმწარე და სალმობიერი.

* * *

Ніколозу Бараташвілі

*Я вірю, що храм цей на древній горі
Найближчий до неба, до хмар, до зорі,
Що голос мій тут долітає до Бога,
Бо душу ураз відпускає тривога.
І легкість якась неземна, мов паріння,
І віра тривка у вселюдське спасіння.*





ნიკოლოზ ბარათაშვილს

მთაზე ეს ძველი ეკლესია, საუფლო ზესთა,
მჯერა, ახლოა ვარსკვლავებთან, ღრუბლებთან, მზესთან.
ღმერთთან ააღწევს აქ ჩემი ხმა – ზეცის მხედარი,
რადგან სულს უცებ ეუფლება შვება ნეტარი.
ვგრძნობ ჯერარნახულ სიმსუბუქეს, მწყურია ფრენა
და მიმყარდება კაცთა მოდგმის ხსნისადმი რწმენა.


Сонет, написаний в Сурамі

*Ох, очі ті! Зійшли ті очі,
Мов дві зорі над білим світом.
І місяць став перепочити
Над хатою, мов знак пророчий.*

*Ніч розірвалася на клоччя,
Летіли голубі орбіти.
Вродилося дитя, щоб жити,
Таке, як всі, але ті очі...*

*Довіру маю до очей.
Не приховать зневаги глей,
Який зав'яз на дні зіниць.*

*Так само, як не приховать
Любові й мудрості печать
І духу незбориму міць.*





სონეტი, დაწერილი სურამში

ოჰ, ის თვალები! სათნო თვალები,
ორი ვარსკვლავი სამყაროს თავზე.
ქოხის ზემოთაც მთვარეა სავსე,
იდუმალ ნიშნად ფერნამკრთალები.

ღამე გაიხა წვით და წვლებით,
ორბიტა ცისფრად ავლებდა ხაზებს,
იშვა პატარა... ჩნდებიან ასე
ქვეყნად მრავალნი, მაგრამ – თვალები!..


დასაბამიდან ვენდობი თვალებს,
ვეღარ დამალავ ბრიალა ალებს
რომ ასხივებენ თვალთა გუგები.


როგორც ვერ შესძლებ სიბრძნე და ტრფობა
დამალო, როგორც უშრეტი გრძნობა,
რომელშიც იწვი და იბუგები.

* * *

*До вершин прослалась путь,
Несходима путь віками.
Хмари килимом плвуть
Попід нами і над нами.*

*Не дійшли. На півпуті
Зупинились у знемозі.
В небі зорі молоді,
Пил правічний на дорозі.*





* * *

შორ მწვერვალამდე გზათა კვალი ჩანს,
ჯერ ხორციელის ფეხდაუდგმელი.
მაღლაც და დაბლაც ღრუბლის ხალიჩას
აქვს სილამაზე ენით უთქმელი.


შორს თვალსაწიერს ვხედავ ჩრდილიანს,
რომელსაც ადევს მიმწუხრის ფერი.
ცა ვარსკვლავებით მოჭედულია
და გზაზე ყრია მარადი მტვერი.

* * *

*Дозріває гранат, вистигає пісок,
Всі човни затагнули у елінг.
Забивають фанерою літній лоток,
І глуха по-осінньому зелень.*

*Море хвилю накопить, холодну, важку.
Так буденно для неї і звично
Від кросівок сліди змить на вогкім піску,
Мов сліди астронавтів космічних.*





* * *


მწიფს ბროწეული, ქვიშა ცივდება,
ბუნება ჭკნობით არის გართული.
ნავი ელინგში შეტივტივდება,
აიჭედება ხილის ფარდული.


ზღვა მძიმე ტალღებს მიახლის ნაპირს,
იტყვის ზაფხული: „აჰა, ვთავდები!“
და ნაფეხურებს წარეცხავს ქაფი,
როგორც ნაკვალევს ასტრონავტების.

* * *

На дні ущелини, немов на дні могили,
Я, зменшена до розміру комахи,
Подумала: усі ми станем прахом,
Мій оптимізм ці гори роздавили.

Та, стоячи на голубій вершині,
Впкорена легкими небесами,
Подумала: ніхто не бачив брами,
За котрою, мовляв, не будь людinі.





* * *

ხეობის ფსკერზე, როგორც ბნელი საფლავის ფსკერზე,
გავხდი მწერივით პაწაწინა, დავკატარავდი,
ვიფიქრე: იმედს, აქამდე რომ გულში ვფარავდი,
დაფარავს მიწა, მთისგან შველას ამაოდ ვეძებ.


მაგრამ მწვერვალზე დამიბრუნდა რწმენა გვიანი
და როცა უცებ ცისფერ ღრუბლებს დააცხრა ქარი,
ვიფიქრე: ჯერ არ არსებულა ისეთი კარი,
რომლის იქითაც ვერ იცხოვრებს ადამიანი.

* * *

*Є риби, що живуть на дні,
В намулі і у тиші.
Є риби справді мовчазні,
І ніжні є, і хижі.*

*Та я оспівую форель
За дивний карб її:
Усе життя, усе життя
Супроти течії.*





ვიცი თევზები – ცხოვრობენ ფსკერზე,
ვიცი თევზები – შლეგი და ნაზი.
ზოგი საკბილოს გარეშე ვერ ძლებს,
ზოგსაც დუმილის ბეჭედი აზის.


მე კი კალმახი მემახსოვრება
და გულმაც მისი ქება ინება:
მთელი ცხოვრება, მთელი ცხოვრება
ის თავგანწირვით ებრძვის დინებას.

* * *

*Про що співає молодий пастух,
На пишну гору женучи отару?
Та пісня повна таїни і чару
Або, точніше, повна тайних мук.*

*О, так співати здатен лиш поет.
Змовкає звук і тане силует.*





რას უმღერს, ნეტავ, ჭაბუკი მწყემსი,
მთის ფერდობზე რომ მიდენის ფარას?
სიმღერა რაღაც იდუმალს ფარავს,
რაღაც დაფარულ დარდზეა ლექსი.

ასე გალობა თუ ძალუძს მგოსანს.
ის დიადია წუხილის დროსაც!

Бакуріані

*Біліша за сніги альпійські
Лижня зимова олімпійська.*

*Що нас ріднить і що єднає
На цім гірським пречистім плаї?*

*В червонім шоломі й бузковім
Ми різні, різнокольорові.*

*Але потужне біополе
По колу водить нас, по колу.*

*Ми ризикнем, хоч мало шансів,
Є ряд безпечніших дистанцій.*

*Та нас притягує манливо
Лиш те, що майже неможливо.*





ბაკურიანი

აღპიურ თოვლზე უფრო ციური,
არის ეს ტრასა ოლიმპიური.

რა გვაახლოებს, გვაერთებს ასე
ჩვენ ამ უწმინდეს დათოვლილ გზაზე?

ჩვენ სხვადასხვა ვართ, სხვადასხვა ფერის,
მაგრამ ჩვენშია და ჩვენში მღერის

ის ბიოველი აუღებელი.
გავრისკოთ, ბედი, ჩვენი მხლებელი,

საკუთარ სათქმელს იტყვის ისედაც.
ჩვენ დასაბამით გვიხმობს, გვიზიდავს,


რაც არის თითქმის შეუძლებელი.

* * *

*Ці п'ять вершин над жухлим степом,
Ця ніч, неначе бісер, чорна,
І це густе осіннє небо —
Все неповторне, неповторне.*

*Біжить срібليсто серпантина,
Самшитом пахне, пахне кмином.
І як пульсує куш кизилу —
Реактор неземної сили!*





ხუთი მწვერვალი დაჰყურებს ტრამალს,
ღამე შავია, ვით ყელსაბამი
და შემოდგომის თხელი ცის გამას
არც სასრული აქვს, არც დასაბამი.

შორს სერპანტინი ვერცხლისფერად ელავს,
ბზა და კომინი გვაბრუებს ყველას
და შინდის ბუჩქი, თუმცა შორია,
დულს, თითქოს მძლავრი რეაქტორია.


Спогад про Гантіаді

Жінки, мов ширазькі троянди,
Мов янголи Піросмані,
Сиділи довкола барда
Зі гронами Мукузані.

А бард у м'якій панамі
І тенісних шортах Пума
Щось шепотів дамі
В бікіні і з книжкою Юма.

Рікою лилось Гурджаані
Й, повірте, що це не чари,
Разом у дуеті співали
Андре Челентано й Ротару.

А десь, зовсім поряд, у травах,
На пишних колхідських луках
Наввипередки гасали
Одіссея онуки.





განთიადის გახსენება

ქალები, მსგავსნი შირაზის ვარდის
და ფიროსმანის ანგელოსების.
მათ გვერდით ეჯდა უცნობი ბარდი,
შურით კვდებოდნენ, ალბათ, მგოსნები.

ბარდს კი შვენოდა პანამის ქუდი
და ჩოგბურთელის შორტები „პუმა“.
ქალს ბიკინიანს იუმით* ხელში
ის უამბობდა რაღაცას ჩუმად.

და „გურჯაანი“ დიოდა ოხრად,
საპურმარილო იდგა ტაროსი.
და გუგუნებდა თითქოს დუეტი
ჩელენტანოსი და როტარუსი.

იქვე ხასხასა კოლხურ მდელოზე,
ერთმანეთისთვის ხელის ჩავლებით,
დაკუნტრუშებდნენ კრავების მსგავსად
თვით ოდისევსის შთამომავლები.

*იუმი დევიდ – შოტლანდიელი ფილოსოფოსი.

Сподівання

Мої сліди лишились на бруківці
Старого міста, що немов у клітці,
Між гір перлинних замкнене від світу.
В нім завжди тепло, бо назавжди літо.

Фісташкові провулки і балкони,
Чинар столітніх велетенські крона,
Чужої мови стигле рокотання
І літер кучерявих коливання.





დაიმედება

მე დავამჩნიე ძველი ქალაქის
ქვაფენილს კვალი... მყუდრო ალაგი
ზვიადი მთების გალიაშია
და მარგალიტის შვენის აშია.

მსგავსი ჭადრები სხვაგან სად არი
ან აივნები ზღაპრის სადარი!
ყოველ ნაბიჯზე მნუსხავს ქართული
და ასო ასოს გადახლართული.

Буддійський флер

Вид на затоку з вікон тераси
Був безсумнівно просто прекрасним.

Деся вдалині під рожевим вітрилом,
Ніби фламінго, яхта летіла.

Лінія берега, темна й волога,
Гнучно щезала в бухті за рогом.

А зовсім близько, над ганком дому
Квіти шафранові, квіти текоми.

Дім ув обіймах квітів текоми,
На сходах дому – я в голубому.

Думка непевна: шафран – кольор Будди.
І друга: це – сон, це – омана, полуда.

Та чую твій голос, твій голос – і справді
З'являєшся ти між суцвіть олеандрів.

Збігаю по сходах. Лазурна затока...
О, юність прекрасна! Ні, юність жорстока...



ბუდას მარმაში

ჩვენი სარკმელი მყუდრო ყურეს გადაჰყურებდა,
ცხადია, მუდამ საამოა ხილვა ყურეთა.

შორით იახტას მიაფრენდა ფრთალაღი ქარი,
შვენოდა აფრა ვარდისფერი, ფლამინგოს დარი.

ნაპირის ხაზი, დღენიადაგ მუქი და სველი,
წყდებოდა უცებ ყურეს ბოლოს უხილავ ხელით.

ხოლო სულ ახლოს, ამ მხარეში როგორც სჩვეოდათ,
სახლს ზაფრანა და ვაზისტანა შემოხვეოდა.

სახლს ვაზისტანა მოსდებოდა ერთბაშად ტანზე,
ვიდექ კიბეზე ცისფერ კაბით, ხალისით სავსე.


ფიქრი მაცდური: ზაფრანა ხომ ბუდას ფერია.
თან: ეს ძილია, სიზმარია და ფეერია.

მესმის შენი ხმა, ო, შენი ხმა და ვიზადრები -
გამოჩნდი, ირგვლივ ხასხასებენ ოლენადრები.

მე ჩამოვრბივარ კიბეებზე. თვალუკურცხალო...
ო, სიყმაწვილევ მშვენიერო! არა, უწყალოვ!..

Втеча

Світає над світом,
Над морем світанок.
Виходжу ще сонна
І тепла на ганок.
Вдихаю повітря
Легке і духмяне
І бачу, як вперше,
Це море, ці кани.
А в місті на кручах
Зваблївм, як Мекка,
Самотньо прокинеться
Друг мій далекий.
Про мене згадає,
Зітхне безпорадно
І скаже до себе:
«Це схоже на зраду».
Та він помилився —
Це схоже на втечу
Від всіх і від себе,
Від порожнечі.
Душа десь летить,
Я тікаю з імлі,
Аби хоть на мить
Ні ганьби, ні хвали.





გაქცევა

ცისქვეშეთში თენდება,
ზღვაზე განთიადია,
აივანზე გავდივარ,
ვამბობ, ზღვა დიადია!
რა მსუბუქად ვისუნთქავ
ჰაერს ნამძინარევი,
თითქოს ვნახე პირველად
ზღვის და ზეცის ნარევი.
ქალაქში კი ნატვრად და
მექადაც რომ მეყოფა,
მარტო გაელვიძება
ჩემს შორეულ მეგობარს.
გამიხსენებს წუხილით,
თითქოს ღამე ათია
და ჩაილაპარაკებს:
„ეს, ალბათ, ღალატია!“
იგი ცდება, ეს უფრო
გაქცევაა ბნელიდან,
საკუთარი თავიდან
და სიცარიელიდან.
სული სადღაც მიფრინავს,
სული ლაჟვარდს ეხება,
თუნდაც წამით არ მესმის
გინება თუ შექება.

Сонети з Махінджауфі


I

*М'які і теплі обриси гряди
Кавказьких гір, а може їх відрогів,
Нагадують на небеса дорогу,
Якою легко до вершин дійти.*

*Щоранку бачу сонячні персти,
Що осявають сховані чертоги
Ущелин диких, кам'яні пороги
І дерев'яні через них мости.*

*У гір є висота і глибина.
Єднає їх невидима струна,
Зі струмів загадкових і незвичних.*

*Спостерігаю дивний колобіг
Отих енергій і кохаюсь в них,
І розумію, що вони суть вічні.*





მახინჯაურის სონეტები

I

კავკასის მთათა ან სულაც მათი
ზეგნების ხაზი, რბილი და თბილი,
მაგონებს ცისკენ მიმავალ ბილიკს,
რომლითაც მწვერვალს მიაღწევს მწადი.

ყოველ სისხამზე ახერხებს მნათი
ფარულ დარბაზებს წაართვას ჩრდილი,
ათბოს ხეობა, კლდეები თლილი
და ხის ხიდები, მათზე რომ გადის.

მთებს აქვს თავისი სიმაღლე, სიღრმე,
მათ შემაერთად მე სიმი ვიხმე,
სიმი იდუმალ, უცნაურ ჭავლის.

ვაყოლებ მზერას აუხსნელ ძალთა
ტრიალს, რომელიც მე მიყვარს მართლა
და ვხვდები, მას არ გაუვა ყავლი.


II


*Я прокидаюсь – у дзеркалі гори.
Зараз їх білі тумани загорнуть,
Ліс і дорогу на луки, на плаї
Зараз крохмальні тумани сховають.*

*Боже, як легко рукою дістати
Дальні вершини – сніжні палати.
А чи арбу на крутій серпантині.
Ось вона поряд, фарбована в синє.*

*Ослик за нею ступає слухняно,
Чую як пахне диким шафраном,
Як нарастають божественні співи*

*Чорних дроздів і малиновок сивих.
Дух миротворчий в повітрі розлито.
Ранок. Кімната. Кінчається літо.*





II

მე მეღვიძება მთათა სარკეში.
მათ ახლა თეთრი ნისლი დაფარავს.
ტყეს, საძოვრისკენ მიმავალ ბილიკს
დაეფინება ქათქათა ნისლი.

ღმერთო, აქ ხელის გაწვდენაზეა
მწვერვალები და თოვლის კოშკები.
მიდის ურემი ციცაბო გზაზე,
და ისიც თითქოს აქვია, გვერდით.

მორჩილად მისდევს ურემს ჩოჩორი,
ვგრძნობ, როგორ აფრქვევს სურნელს ზაფრანა,
როგორ მატულობს ღვთიური ხმები

შაშვეებისა და გულწითელების.
ჰაერში თითქოს ჰაერი მოჩანს.
დილა. ოთახი. ზაფხული მორჩა.


III

Текоми сяйво золоте,
Оранжеві обійми літа,
Як глибоко душа прогріта,
Як гаряче гранат цвіте.

Все відійшло, гірке й пусте.
Лишились квіти, квіти, квіти...
Південний сад дощами вмитий,
І все, що родить і росте.

«Невже і ця земля не рай?»
Спитала я. «О, не зітхай». —
Озвалася стара грузинка.

«І не шукай, й не ворожи.
Ми носим рай в своїй душі.
Тож рай в тобі, немудра жінко!»





III

ვაზისტანები ოქროდ ქცეული,
ნარინჯისფერი ზაფხულის ხვაფი.
ო, სული როგორ თბება და ჰყვავის,
როგორ ანთია ეს ბროწეული!

გაჰქრა, რაც იყო მწარედ სნეული.
მე ვხედავ ყვავილს, ყვავილს და ყვავილს...
სამხრეთულ ბაღში წვიმების ზვავით
განბანილია მწვანე სხეული.

„ნუთუ ეს მიწა სამოთხეს არ ჰგავს?“
ვკითხულობ. – „ჰოი, იმედს ნუ ჰკარგავ!“-
მოხუც ქართველ ქალს ანაზდად დასცდა.

„დღესაც ისაა, რაც იყო გუშინ.
შენი სამოთხე შენა გაქვს გულში,
მხოლოდ შენშია სამოთხის განცდა!“


IV


*Дивитися на море крізь вікно...
В цім є щось дивовижно притягальне,
Неначе море стало задзеркаллям
Твого життя. Мов біле полотно.*

*В майстерні на підрамнику, воно
Запрошує тебе фантазувати:
Ось чайка, ось фрегат, а ось пірати,
Вітрильник їх за мить піде на дно.*

*Сідає сонце і останній промінь
Неначе зупиняється на домі,
На квітах біля ганку, на руці,*

*Яка лежить на теплім підвіконні,
На винограднім ще зеленім гроні
І на засмаглій молодій щоці.*





IV

სარკმელში ზღვაა კამკამა, მკვეთრი...
ხარ მოხიბლული მისი სიღრმეთი.
თითქოს ზღვა არის სარკისმიღმეთი
შენი ცხოვრების. ტილოა თეთრი.

სახელოსნოში ურიცხვი ფერი
შენ ფანტაზიით დაიმეგობრე.
ხედავ თოლიას, ფრეგატს, მეკობრეს,
რომლებსაც წამში მოუხმობს ფსკერი.

მზე ჩადის... მისი სულ ბოლო სხივი
ჩერდება სახლთან, გიყუჩებს ტკივილს,
ის შენს ხელებს და ყვავილებს ლოკავს,

და სანამ ძალუმს სინათლის ფრქვევა,
ეაღერება ჯერ მწვანე მტევანს
და ახალგაზრდა გარუჯულ ლოყას.


V


*І день розкинувся неозоро...
Останній день у цім краю,
Якому шану віддаю,
Який люблю. Осінні гори*

*Звучать, мов золоті валторни.
Я мить оцю боготворю.
І палко дякую життю
За цю хвилину неповторну.*

*О Грузіє! Твоя краса
У золоті лісів правічних
Мов осяває небеса.*

*І мудрість приписів одвічних,
І моря далечінь велична,
Й терпке вино й жива сльоза.*





V

დღემ უსამანოდ გაშალა ფრთები...
მე ამ მიწაზე დღეს ბოლო დღე მაქვს,
მე მიყვარს მისი სითბო და კდემა
და შემოდგომა, როდესაც მთები


ოქროს ვალტორნად იწყებენ ჟღერას,
ისმის ჰანგები დამატრობელი.
მე ამ ცხოვრების ვარ მადლობელი
და უკვდავება ამ წამის მჯერა.

ო, საქართველოვ, შენი მშვენება
უძველეს ტყეთა ოქროს ვარაყით
ზეცას სვეტებად შეეშენება.

და შენი სიბრძნეც არის ფრთალადი...
გაქვს დიადი ზღვა და წყაროს წყალი,
მწკლარტე ღვინო და ცრემლი ცოცხალი.

Сповідь

I



Я – Пакт,
Народжений від Айворі Тауера і Пальмети.
Першої літери мого імені
Від імен моїх батьків —
Так ведеться у нашому конячому роді:
Не забувати про тих,
Кому зобов'язаний життям своїм.
Я народився від переможців,
Тому приречений перемагати
Скрізь і завжди, скрізь і завжди,
Сціпивши зуби, як ви кажете,
Закусивши вудила, але перемагати.
(Я чув, у людей найчастіше все навпаки).
Моя швидкість на дистанції
Дві тисячі чотириста метрів
Досяга двох хвилин семи секунд.
Може тому я не знаю рівних.
Виходить просто – перемагає найдостойніший.
(Я чув, у людей все складніше).
Справді, ми різні. Дуже різні.
Але чому, скажіть, чому
Я весь тремчу від ніжності,
Коли мені на гриву лягає
Людська долоня.



აღსარება

1


გახლავართ პაქტი, აივორ ტაურესის და პალმეტის შვილი.
მე გავითავისე მშობელთა სახელების
პირველი ასოები -
ასე სჩვევია ჩვენს ცხენურ მოდგმას:
გვახსოვდეს ისინი,
ვისაც სიცოცხლეს ვუმაღლით.
მე გამარჯვებულებმა მშობეს,
ამიტომ განწირული ვარ გამარჯვებისთვის
ყველგან და მუდამ, ყველგან და მუდამ,
ჩემს სადისტანციო სიჩქარეს
ორიათას ოთხას მეტრს
ვანვითარებ ორ წუთსა და შვიდ წამში.
იქნებ ამიტომაც არა მყავს სწორი.
გამოდის უბრალოდ – იგებს უღირსეულებსი.
(მსმენია, ადამიანებს უფრო რთულად გამოსდისო).
ჩვენ მართლაც განსხვავებულნი ვართ. ძალიან.
მაგრამ რატომ, მითხარით, რატომ
რატომ ვთრთი ასე ნეტარებისგან,
როცა ფაფარზე ადამიანი
ხელს გადამისვამს?

II

*Агатовий скакун Аскет
Нарешті вирвався вперед.
Албег і Лотос відстають,
Їх обійшли Регат і Ртуть.*

*Я ще не бачила такої
Краси палкої і живої.
О часе мій, під небом синім
Ти збережи коня людині.*





II

ტაიქს ასკეტი ჰქვია სახელად,
ის წინ გაიჭრა და გვასახელა.
ალბეგს და ლოტოსს მხოლოდ მისხალით
უსწრებს რეგატი და ვერცხლისწყალი.

ალბათ, ზეციერს ასე ენება,
მე დამენახა მსგავსი მშვენება.
დროებავ ჩემო, თხოვნა მაქვს შენთან,
ძეს ადამისას ნუ გაყრი ცხენთან.

Бенкет в Алазанській долині

Гії Канчелі

О таємниця хліба і вина,
О вивершеність літа таємнича!
Цю чашу випиваємо до дна
І наливаєм келих рівно тричі.

Даваймо, друже, пом'янемо тих,
Хто відійшов у вічності тумани.
Їх зоряні, печальні каравани
Пливуть над світом, над життям живих.

Тепер – за нашу землю, за святе
Її терпіння, за коріння наше,
За все живе, що нині в ній росте,
За все, що буде, підіймаймо чашу.

Останню чару вип'єм за любов.
На цій землі – то найдивніше диво!
Даваймо вип'єм за любов щасливу —
Це донор людства, рятівнича кров!





ლხინი ალაზნის ველზე

გია ყანჩელს

ო, საიდუმლოვ პურის და ღვინის,
ო, სრულქმნილებავ დღეთა და წელთა.
ჩვენ ამ სასმისით დავიწყეთ ლხინი,
შევსვათ და სამჯერ შევაგსოთ ერთად.

მოდით, წასულთა ხსენება იყოს,
ვინც შორ ნისლებში დაიდო ბინა.
ვინც საქარავნე გზას ცასთან იყოფს
და ცოცხლებს ზემოთ ვარსკვლავად ბრწყინავს.

ეს გაუმარჯოს ჩვენს მიწას, წმინდა
ფესვებთან ერთად, მის მრწამსს და თმენას,
ვინც აქ ბინადრობს, მიიწევს წინ და
ჩვენც უკეთესის გვინერგავს რწმენას.

ამ ბოლო თასით ვადიდოთ ტრფობა,
ის სასწაულზე სასწაულია.
მისთვის, ვინც ენდო ამ უკვდავ გრძნობას,
ცხოვრებას უქმად არ ჩაუვლია!


Любові незабутньої пісні

Отара засинає на горі,
Мов тихий спогад, затишна і тепла.
За обрієм зникає сонце. Смеркло.
Вже близько час вечірньої зорі.

Тихіше ночі, що ввійшла у дім,
Надходить рівновага дивним плином.
Мов книгу, склавши руки на колінах,
Своє життя прочитую по ним.

Якби ж мені не згадувать, а статъ
Чи спогадом, чи цим осіннім садом,
Який звучить таким високим ладом
І не уміє, втративши, страждатъ.

Статъ спогадом допоможіть мені
Зоря вечірня, сад і тепла осінь.
Чому мене не залишають досі
Любові незабутньої пісні.





დაუვიწყარი ტრფობის სიმღერებს

მთის ფერდობებზე იძინებს ფარა,
ვით მოგონება წყნარი და თბილი.
მზე ჩადის. სივრცეს ეცემა ჩრდილი.
მწუხრის ვარსკვლავი ამოდის ჩქარა.

სახლს უნაზესი სიჩუმე მწყემსავს,
და მე ამჟამად სიმშვიდის დრო მაქვს.
როგორც მუხლებზე გადამლილ რომანს,
ჩავლილ ცხოვრებას ვკითხულობ ჩემსას.

ნეტავ, შემეძლოს წარსულად ვიქცე
ან შემოდგომის მწუხარე ბაღად,
ჰანგებად, ჩემში რომ ჟღერენ ლაღად
და რომლებითაც თავს ახლა ვიქცევ.


ვიხსენებ ისევ ლერწმის იმ ღერებს,
ბაღს, შემოდგომას და ვარსკვლავს მწუხრის.
მიკვირს, აქამდე ქედს რატომ ვუხრი
დაუვიწყარი ტრფობის სიმღერებს.

Кінець літа

*Земля, розпашіла у пахощах ночі,
Тілами й устами зігріта.
Але вже жовтіє на вітах листочок —
Кінець літа...*

*Як рясно червоні плоди дозрівають,
Як щедро обтяжені віти.
При заході сонця кімнати палають —
Кінець літа...*

*Одягне шипшина злотаву перуку.
Від плоду звільняються віти.
А серце моє чи подужа розлуку?
Кінець літа...*





ზაფხული გადის...

მიწა სავსეა სურნელით ღამის,
შერწყმია ერთურთს სიზმარი, ცხადი.
ყვითელ ფოთლებში არ ისმის ჩქამი -
ზაფხული გადის.

როგორ მწიფდება ტოტზე ნაყოფი,
როგორ ჩაღვრია სხივები მნათის.
ირგვლივ სივრცეებს ვხედავ კმაყოფილს -
ზაფხული გადის...

ირგებს ასკილი ოქროს პარიკებს,
იკლებს თანდათან ალმური, ხვატი.
მე ჩვენს გაყრასთან რა შემარიგებს?
ზაფხული გადის...

Людмила Скирда



Всесвітньо відома українська поетеса, вчений-літературознавець, педагог, літературний критик, культуролог, перекладач, член Національної спілки письменників України, лауреат міжнародних літературних премій імені Андрія Малишка, Григорія Сковороди, Володимира Винниченка, Івана Кошелівця, Заслужений діяч мистецтв України.

Її книги перекладено усіма офіційними мовами ООН, відтак українську поетесу може читати увесь світ.

У 1968 році Людмила Скирда закінчила філологічний факультет Київського національного університету імені Тараса Шевченка. Перші вірші поетеси були опубліковані в газеті "Літературна Україна" у 1962 році. У 1963 році, ще школяркою, Людмила Скирда бере участь у Всесоюзній нараді молодих письменників у Москві. У 1965 році виходить перша книга поетеси "Чекання", яка викликала захоплені відгуки в іноземній пресі та жорстку критику у радянській і зайняла своє особливе місце у літературному процесі 60-тих, презентуючи своєрідну і талановиту урбаністичну лірику.

Наприкінці 80-х років поетеса перебуває у докторантурі, де завершує роботу над докторською дисертацією. З 1988 року Людмила Скирда живе переважно за кордоном – Австрійська Республіка, ФРН, Японія, КНР, де її чоловік – український дипломат Юрій Костенко – обіймає посади Посла України.



ლუდმილა სკირდა

მსოფლიოში ცნობილი უკრაინელი პოეტი ქალი, მეცნიერი-ლიტერატურათმცოდნე, პედაგოგი, ლიტერატურის კრიტიკოსი, კულტუროლოგი, მთარგმნელი, ეროვნული მწერალთა კავშირის წევრი, ანდრეი მალიშკოს, გრიგორი სკოვოროდას, ვლადიმერ ვინიჩენკოს, ივან კომელივეცის საერთაშორისო პრემიების ლაურეატი, უკრაინის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. მისი წიგნები თარგმნილია გაეროს ყველა ოფიციალურ ენაზე, ამდენად უკრაინელი პოეტის შემოქმედება მთელ მსოფლიოს შეუძლია წაიკითხოს.

1968 წელს ლუდმილა სკირდამ დაამთავრა კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის ეროვნული უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. პირველი ლექსები გამოაქვეყნა გაზეთში „ლიტერატურა უკრაინა“ 1962 წელს. 1963 წელს, ჯერ კიდევ მოსწავლე ლუდმილა სკირდა მოსკოვში ახალგაზრდა მწერალთა საკავშირო თათბირის მონაწილეა. 1965 წელს გამოდის პოეტის პირველი წიგნი „მოლოდინი“, რომელმაც საზღვარგარეთის პრესაში აღტაცებული გამოხმაურება ჰპოვა, ხოლო საბჭოთაში მკაცრი კრიტიკა დაიმსახურა. ამდენად მან თავისებური და ნიჭიერი ურბანისტული ლირიკით საკუთარი განსაკუთრებული ადგილი დაიკავა 60-იანი წლების ლიტერატურულ პროცესში.

80-იანი წლების მიწურულს პოეტი დოქტორანტურაში იმყოფება და ამთავრებს სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობას. 1988 წლიდან ლუდმილა სკირდა უმეტესად საზღვარგარეთ ცხოვრობს. ავსტრიის რესპუბლიკა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, იაპონია, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა – ესენი ის ქვეყნებია, სადაც მისი მეუღლე უკრაინელი დიპლომატი იური კოსტენკო უკრაინის ელჩი იყო.

ყველა ამ ქვეყანაში გამოდის კულტურის ცნობილ მოღვაწეთა მიერ თარგმნილი პოეტის წიგნები, ეწყობა მისი საღამოები

В усіх цих країнах у поетеси виходять книги віршів у перекладах відомих діячів культури, проходять її творчі вечори в університетах, їй присвячують програми ТБ і радіо. А в Токіо вже сама Людмила Скирда переклала книгу Її Величності Імператриці Японії Мітіко “Будувати мости”.


Після повернення на Батьківщину Людмила Скирда активно включилась у культурно-літературний процес країни. Вона стала першою письменницею незалежної України, перекладеною у Південній Кореї, Японії, ОАЕ, Китаї, Греції, Узбекистані та інших країнах. Людмила Скирда – автор 40 книг поезій, понад 200 наукових статей і культурологічних есе та 5 наукових монографій. Отримала Золоту Медаль Товариства Данте Аліг'єрі.

mob.: +38 (066) 117-66-77

LiuSkyrda@gmail.com

www.liuskyrda.com.ua





უნივერსიტეტებში, მას უძღვნიან პროგრამებს რადიოსა და ტელევიზიებში. ტოკიოში კი თვითონ ლუდმილა სკირდამ თარგმნა მისი უდიდებულესობის იაპონიის დედოფლის მიტიკოს წიგნი „ვაშენოთ ხიდები“. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ლუდმილა სკირდა აქტიურად ჩაერთო ქვეყნის კულტურული-ლიტერატურულ პროცესში. იგი გახდა დამოუკიდებელი უკრაინის პირველი მწერალი ქალი, რომელიც ითარგმნა სამხრეთ კორეაში, იაპონიაში, არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში, ჩინეთში, საბერძნეთში, უზბეკეთსა და ა.შ. ლუდმილა სკირდა 40 პოეტური წიგნის, 200-ზე მეტი სამეცნიერო სტატიისა და ხუთი სამეცნიერო მონოგრაფიის ავტორია. მიღებული აქვს დანტე ალიგიერის საზოგადოების ოქროს მედალი.

*mob.: +38 (066) 117-66-77
LiuSkyrda@gmail.com
www.liuskyrda.com.ua*

Рауль Чілабава



Поет, перекладач, літературознавець, публіцист, дипломат, доктор філологічних наук, професор, академік Національної академії наук Грузії, почесний доктор Академії наук Латвії, заслужений діяч мистецтв України, член Спілок письменників Грузії, України, Латвії, Міжнародної асоціації письменників і публіцистів, член Спілки театральних діячів України. Відомий перекладач української літератури.

Народився 15 травня 1948 року в селі Чітацкарі Зугдідського району Грузії в родині лікаря. 1965 року з золотою медаллю закінчив Дзвелі-Абастуманську середню школу і вступив до факультету журналістики Тбіліського державного університету. В 1967-1970 роках стажувався в Київському державному університеті імені Тараса Шевченка, де вивчив українську мову й літературу. До кінця 1991 року, перебував на творчій роботі, присвятивши себе повністю поетичній творчості, перекладацькій, науково-дослідницькій і громадській діяльності в галузі українсько-грузинських взаємин.

З 1992 року – на державній службі. Був заступником міністра України у справах національностей, міграції та культур, заступником голови Державного комітету в справах національностей та міграції, професором Київського національного університету імені Тараса Шевченка, Національного педагогічного університету імені М. Драгоманова, Національного



რაულ შალვას ძე ჩილაჩავა

ქართველი პოეტი, მთარგმნელი, ლიტერატურათმცოდნე, პუბლიცისტი, დიპლომატი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო დოქტორი, უკრაინის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს, უკრაინის და ლატვიის მწერალთა კავშირების წევრი, უკრაინის თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის წევრი. უკრაინული პოეზიის ცნობილი მთარგმნელი.

დაიბადა 1948 წლის 15 მაისს ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭითაწყარში, ექიმის ოჯახში. 1965 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა იმავე რაიონის სოფელ ძველი აბასთუმნის საშუალო სკოლა. 1965-1970 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტი. 1967-1970 წლებში კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეუფლებოდა უკრაინულ ენასა და ლიტერატურას. წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტისა და სტაჟირების დამთავრების შემდეგ ცხოვრობს და მოღვაწეობს კიევში. 1991 წლამდე იმყოფებოდა შემოქმედებით სამუშაოზე და დაკავებული იყო პოეტური, მთარგმნელობითი, სამეცნიერო-კვლევითი და საზოგადოებრივი საქმიანობით.


1992 წლიდან სახელმწიფო სამსახურშია. 2005 წლამდე ეკავა უკრაინის ეროვნებებისა და მიგრაციის საქმეთა მინისტრის მოადგილის თანამდებობა. პარალელურად იყო კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი, კიევის მ. დრაგომანოვის სახ. პედაგოგიური უნივერსიტეტის პროფესორი, კიევის კულტურისა და ხელოვნების ხელმძღვანელ კადრთა სახელმწიფო აკადემიის უკრაინული და მსოფლიო ლიტერატურის კათედრის გამგე, უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ლატვიაში (2005-2010). ამჟამად კვლავ

університету культури і мистецтв, завідувачем кафедри української та іноземних мов Київської державної академії керівних кадрів культури і мистецтв. У 2005-2010 роках – Надзвичайний і Повноважний Посол України в Латвії.

Удостоєний звання й золотої медалі «Подвижник грузинської культури», лауреат премії імені Сагурамо, Г. Табідзе, М. Рильського, Міжнародних премій імені А. Чакса, М. Вульфсона, В. Винниченка, Г. Сковороди, М. Гоголя, П. Куліша, Е. Хемінгуея, Франческа Петрарки, «Грані пограниччя». Автор численних публікацій у пресі, понад 120 окремих видань: поетичних, перекладних, наукових, публіцистичних.

Нагороджений орденом України «За заслуги», грузинським «Орденом честі», латвійським орденом «Трьох зірок», Орденом Преподобного Нестора Літописця, Міжнародною золотою медаллю імені Франца Кафки, Міжнародним призом імені Цицерона, Почесною Грамотою Верховної Ради України «За особливі заслуги перед українським народом», Почесною Грамотою Кабінета Міністрів України, Почесною Грамотою Президії Верховної Ради Грузії, Почесною Грамотою Київської міської державної адміністрації, відзначений і іншими нагородами. Учасник ліквідації наслідків Чорнобильської аварії в 1986 році.

chilachava.r.s@gmail.com




შემოქმედებითსამუშაოზეა. არისსაგურამოს, გალაკტიონ ტაბიძის, გრიგორი სკოვოროდას, ნიკოლაი გოგოლის, მიკოლა კულიშის, მაქსიმ რილსკის, ვლადიმერ ვინიჩენკოს, ალექსანდრე ჩაკის, მავრიკ ვულფსონის, ერნსტ ჰემინგუეის, ფრანჩესკო პეტრარკას სახელობის პრემიების ლაურეატი, ფრანც კაფკას სახელობის საერთაშორისო ოქროს მედლისა და ციცერონის სახელობის საერთაშორისო პრიზის მფლობელი; დაჯილდოებულია „ღირსების ორდენით“ (საქართველო), ორდენით „დამსახურებისათვის“ (უკრაინა), „სამი ვარსკვლავის“ ორდენით (ლატვია), უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის ორდენით, წმინდა სტანისლავის სახელობის საერთაშორისო ორდენებით „კომანდორის ჯვარი“ და „ოფიცრის ჯვარი“, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, უკრაინის უზენაესი რადის საპატიო სიგელით „უკრაინელი ერის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის“, უკრაინის მინისტრთა კაბინეტის საპატიო სიგელით, თბილისის მერიის საპატიო სიგელითა და მედლით „ქართული კულტურის ამაგდარი“. რაულ ჩილაჩავა არის ჟანრობრივად მრავალფეროვანი (პოეზია, პროზა, სამეცნიერო ნაშრომები, პუბლიცისტიკა, თარგმანები) ას ოცზე მეტი საკუთარი და ნათარგმნი წიგნისა და პრესაში გამოქვეყნებული ასობით მასალის ავტორი. იყო ჩერნობილის აესში მომხდარი ავარიის ლიკვიდაციის მონაწილე.

chilachava.r.s@gmail.com

Зміст


Розмова по дорозі до Цихісдзирі	8
Сніг над Мтацміндою	10
Вечеря у ресторані Da Dong	12
Спогад про Жінвалі	14
Так починалась любов	16
Сон літньої ночі	18
Дорога до Кахетії	20
Пророцтво збувається	22
Роздум на вершині гори	24
Спогад про Батумі	26
Всі свої	28
Я повернусь	30
Спогад про Кобулеті	
I. Був ти чи ні?	32
II. Це спогад про лагідний дім	34
На перевалі	36
Згадую Мухета	40
Сузір'їв золоті хребти	42
Тут, у тихім саду	44
Спогад про сад	
I. Ми спустились по схилу гори, золотої, як мед	46
II. Наливали вино і спустилися сходами в сад	48
Наче рамена свічника	50
Як все живе, й душа всихає	52
На березі вмирають анемони	54
Я вірю, що храм цей на древній горі	56
Сонет, написаний в Сурамі	58
До вершин прослалась путь	60
Дозріває гранат, вистигає пісок	62
На дні ущелини, немов на дні могили	64
Є риби, що живуть на дні	66
Про що співає молодий пастух	68



საუბარი ციხისძირის გზაზე	9
თოვლი მთაწმინდაზე	11
ვახშამი რესტორანში «Da Dong»	13
ჟინვალის გახსენება	15
სიყვარული იწყებოდა ასე	17
ზაფხულის ღამის სიზმარი	19
კახეთის გზაზე	21
წინასწარმეტყველება სრულდება	23
ფიქრი მთის მწვერვალზე	25
ბათუმის გახსენება	27
ყველა ჩვენიანია	29
დავუბრუნდები კვლავ ბებერ ნაპირს	31
ქობულეთის გახსენება	
I. იყავ თუ არა?	33
II. მე მახსენდება ნათელი სახლი	35
უღელტეხილზე	37
ვისხენებ მცხეთას	41
ჩანან ხომლების ოქროს ქედები	43
მე ამ წყნარი ბაღის	45
ბაღის გახსენება	
I. ჩვენ ვეშვებოდით თაფლისფერი მთის ფერდობიდან	47
II. დაგვისხეს ღვინო და ჩვენ ბაღში კიბით დავეშვით	49
თითქოს შანდალში ციაგობს ალი	51
სულსაც მოელის გაქრობა სრული	53
სანაპიროზე სულს ლაფავენ ანემონები	55
მთაზე ეს ძველი ეკლესია, საუფლო ზესთა	57
სონეტი, დაწერილი სურამში	59
შორ მწვერვალამდე გზათა კვალი ჩანს	61
მწიფს ბროწეული, ქვიშა ცივდება	63
ხეობის ფსკერზე, როგორც ბნელი საფლავის ფსკერზე	65
ვიცი თევზები – ცხოვრობენ ფსკერზე	67
რას უმღერს, ნეტავ, ჭაბუკი მწყემსი	69

Бакуріані	70
Ці п'ять вершин над жухлим степом	72
Спогад про Гантіаді	74
Сподівання	76
Буддійський флер	78
Втеча	80
Сонети з Махінджаурі	
I. М'які і теплі обриси гряди	82
II. Я прокидаюсь — у дзеркалі гори	84
III. Теками сяйво золоте	86
IV. Дивитися на море крізь вікно	88
V. І день розкинувсь неозоро	90
Сповідь	
I. Я — Пакт	92
II. Агатовий скакун Аскет	94
Бенкет в Алазанський долині	96
Любові незабутньої пісні	98
Кінець літа	100





ბაკურიანი	71
ხუთი მწვერვალი დაჰყურებს ტრამალს	73
განთიადის გახსენება.	75
დაიმედება	77
ბუდას მარმაში	79
გაქცევა	81
მახინჯაურის სონეტები	
I. კავკასის მთათა ან სულაც მათი	83
II. მე მეღვიძება მთათა სარკეში	85
III. ვაზისტანები ოქროდ ქცეული	87
IV. სარკმელში ზღვაა კამკამა, მკვეთრი...	89
V. დღემ უსამანოდ გაშალა ფრთები...	91
აღსარება	
I. გახლავართ პაქტი, აივორ ტაურესის და პალმეტის შვილი.	93
II. ტაიჭს ასკეტი ჰქვია სახელად.	95
ლხინი ალაზნის ველზე	97
დაუვიწყარი ტრფობის სიმღერებს	99
ზაფხული გადის...	100

Поезія

Людмила Скірда
Голоси Сакартвело

*Підписано до друку 7.10.2019 р.
Формат 60x84/16. Папір офсетний.
Ум. друк. арк. 9,1.
Наклад 1000 прим.*

*ФО-П Маслаков Руслан Олексійович
Свідоцтво про внесення суб'єкта видавничої справи
до державного реєстру видавців, виготівників
і розповсюджувачів видавничої продукції
ДК №4726 від 29.05.2014 р.
Тел. (095) 699-25-20, (098) 366-48-27.
E-mail: osvita2005@gmail.com, www.rambook.com.ua*

*ВД «Освіта України»™
Видавничий дім «Освіта України» запрошує авторів до співпраці
з випуску видань, що стосуються питань управління,
модернізації, інноваційних процесів, технологій, методичних
і методологічних аспектів освіти та навчального процесу
у вищих навчальних закладах.
Надаємо всі види видавничих та поліграфічних послуг.*